ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 11

ქ. დმანისი

03 აგვისტო 2012 წელი

ერთის მხრივ **დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვემო ოროზმანის** საჯარო სკოლა (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ. **ისლამ მამედოვის** სახით და მეორეს მხრივ შპს „სტილექსი" (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორი რომან ძინძიბაძე სახით სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე SPA120020327**გამარტივებული ელექტონული ტენედერის** ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") -შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი-შემსყიდველს.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე" , "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5."მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს შესრულებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. "სამუშაო" - ხელშეკრულების მე-2.1 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები და პირობები" – SPA120020327 გამარტივებული ელექტონული ტენედერის სატენდერო დოკუმენტაციის შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები და პირობები, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

1. ხელშეკრულების საგანი

2.1. სსიპ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ოროზმანის საჯარო სკოლაში სარემონტო სამუშაოების ჩატარება.

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოს აღწერა მოცემულია შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ პარამეტრებში და პირობებში.

2. სტანდარტები და ხარისხი

3.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებსა და სტანდარტებს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 31879,70 ლარს, დ.ღ.გ.-ს ჩათვლით.

4.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

5.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს ეტაპობრივად ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.

5.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება 5.2 პუნქტის შესრულებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

5.4. შესრულებული სამუშაოების ღირებულების 5% შეჩერდება ექსპერტიზის დასკვნის გაცემამდე.

შემსყიდველი

მიმწოდებელი